ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №9

ქ. ლანჩხუთი **25. 12.2020 წელი**
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: გიორგი ჩახვაძე, აკაკი იმნაიშვილი, ზურაბ კუკულავა, ამირან გიგინეიშვილი, ციცინო ჩხაიძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე კომისიის 6 წევრი, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ბატონი როლანდ ლაშხია, რომელიც დეტალურად ისაუბრებს, თუ რა ცვლილებები ხორციელდება მათ მიერ წარმოდგენილ პროექტში. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ 2019 წლის 18 დეკემბრის NN2630 განკარგულებაში მიმდინარე წლის 17 დეკემბრის NN2497 განკარგულებით შესული ცვლილების შედეგად შემცირებული იქნა კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში 3385 ლარით მ.შ ადგილობრივი შემოსავლების ხარჯზე 170 ლარი. კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში 17908 ლარით, მ.შ ადგილობრივი შემოსავლების ხარჯზე 924 ლარი, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია 15723 ლარით, მ.შ ადგილობრივი შემოსავლების ხარჯზე 786 ლარი, შემცირებების ხარჯზე გაიზარდა

გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების დაფინანსება 37016 ლარით, მ.შ ადგილობრივი შემოსავლების ხარჯზე 1880 ლარი. ამასთან, დამატებით გაიზარდა გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების დაფინანსება 83402 ლარით, მ.შ ადგილობრივი შემოსავლების ხარჯზე 4110 ლარი, რომლის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს თავისუფალი ნაშთის ხარჯზე, ანუ სულ გზების კაპიტალური შეკეთების დაფინანსება გაიზარდა 120418 ლარით, მ.შ ადგილობრივი შემოსავლების ხარჯზე 5990 ლარი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ მიმართა კომისიის წევრებს, დაევალოს მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურს საკრებულოს მომდინარე წლის 29 დეკემბრის რიგგარეშე სხდომისთვის მოაწოდოს დეტალური ინფორმაცია, თუ რომელ პროექტებზე მიიმართება გზების კაპიტალური შეკეთებისთვის გამოყოფილი 120418 ლარი. კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ კომისიის თავმჯდომარის აღნიშნულ წინადადებას.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მოსმენილ კომისიის 6 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა.

საკრებულოს წევრმა აკაკი იმწაიშვილმა აღნიშნა, რომ გორისგვერდის სასაფლაო საჭიროებს მოვლა-პატრონობას. მან ასევე ითხოვა სოფელ შუხუთში მინი სტადიონის მოწყობა, რადგან ლეღლოს დროს იმართება ფეხბურთის მატჩები.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მახათაძემ კომისიის წევრებთან ერთად მოითხოვა, რომ მერიის შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყონ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინვენტარიზაცია.

ამით საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მუშაობა დასრულა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე

ქ. ლანჩხუთი 25.12.2020 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №9

2020 წლის 25 დეკემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

დასკვნა:

კომისიის წევრების მიერ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნებით.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25.12.2020 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	13 50	
2	ციცინო ჩხაიძე	13:55	
3	გიორგი ჩახვაძე	13 55	
4	დავით ჩხარტიშვილი	არ ესწრებოდა	
5	ამირან გიგინეიშვილი	13 55	
6	იოსებ ჩხაიძე	არ ესწრებოდა	
7	აკაკი იმნაიშვილი	13 55	
8	ზურაბ კუკულავა	13 50	